საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2544
11/04/2023

2544-21-2-202304111622

შპს „ჩემი ფერმა 3"–ს
მის: გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალდაბა
ელ. ფოსტა: macharashvilivano@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2426 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალდაბაში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა დაგეგმილია ყოფილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, რომელიც ფუნქციონირებდა 2008-2010 წლებში და ამჟამად გაუქმებულია. წარმოდგენილი დოკუმენტის პირველ თავში (გვ. 2) აღნიშნულია, რომ კომპანიის მიერ დაგეგმილია ყოფილი ავტოგასამართის არსებული ორი რეზერვუარის მიმდებარედ მესამე რეზერვუარის მოწყობა, ხოლო, მე–3 თავში (გვ. 3) მითითებულია, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია სამი საწვავის რეზერვუარი. ამასთან, სკრინინგის განცხადების მე-3 თავში აღნიშნულია, რომ ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი (არსებული) რეზერვუარი, რომელიც გატიხრულია ორი, თანაბარი მოცულობის ნაწილად, რომელთაგან თითოეულის მოცულობა შეადგენს 8 $მ^3$-ს (ჯამურად 16 $მ^3$). ამავე თავში (გვ. 5) მითითებულია, რომ არსებული ავზებიდან თითოეულის მოცულობა შეადგენს 16 $მ^3$-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ტერიტორიაზე არსებული/დაგეგმილი რეზერვუარების მოცულობა და ამასთან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ჩრდილოეთით გათვალისწინებულია ყუთების დამამზადებელი საწარმოსა და საწყობის მშენებლობა, თუმცა სკრინინგის განცხადებაში აღნიშნული საწარმოსა და საწყობის შესახებ ინფორმაცია განხილული არ არის;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სახანძრო მიზნებისთვის წყალაღება გათვალისწინებულია მიმდებარე

გუბურებიდან, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული გუბურების და მათი შევსების შესახებ ინფორმაცია;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია სალექარში. დაზუსტებას საჭიროებს სანიაღვრე წყლების და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების შემკრების სისტემის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო